


ნახევარი

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კპ.

თბილისი
გამომცემი



ზღაპრული ნატურის თვალი ვარ
და მინდვრის დედოფალი ვარ,
ვაუკაცის გარჯას ვაფასებ,
ვეულებს მიუზღავ ათასჯერ.

შენ მხოლოდ ჩემი მოვლა თქვი,
მოგცე ურიცხვი დოვლათი,
ავაფსებთ ისეთ ბარაქით,
მთად იდგეს ერბო-კარაქი.

ბაზაიონი ნიანგო

აპოლე დამაშვარანი

ზამთრის თითქმის ორმა მესამედმა თბილისში ისე გაიარა, რომ თოვლის ერთი ფიფქიც არ დავარდნილა აქაური მოქალაქის ქუდზე. ცუდია, არ ვარგა, ყველაფერს თავისი დრო აქვს! ნამდვილი ზამთარი თითქმის საოცნებოდ გადაიქცა და მოსკოვურ ბალებს ყინულზე რომ არ გაესხნებინა მისი სუსხოვლიანობა, თბილისელები მომავალ წლამდე ალბათ კიდევაც დაივიწყებდნენ რა არის ზამთარი.

ამ მეტეოროლოგიური ზარალის ერთგვარი აღდგენა სცადა თბილისის საშაქარლამო კომბინატმა. ზამთარზე რომ კაცს ეოცნება მაინც, ამ მიზნით ხსენებულმა კომბინატმა გამოუშვა კანფეტი «თოვლი». გაფცქვნილ თუ არა «თოვლს» და მის საბურავს, მწვანე ფერით შეღებილ ქალაქს გადააგდებთ, ხელში ძალაუნებურად შეგრჩებათ ბალახისფრად შესვრილ-შეთუზნული კანფეტი, რომელიც უცილობლად გაგახსენებთ თოვლ-ჭყაპში დასვრილ ფეხსაცმელს, ან ტალახში ამოთხვრილი შარვლის ტოტებს. მაგრამ საშაქარლამო კომბინატის მხატვრები, ასე თუ ისე, მაინც ამაოდ დამაშვარანი დარჩენილან, რადგან ზამთრის სრული ასოციაციის შექმნას ხელს უშლის მწვანე ფერი. ამ ფერის თოვლი ან ტალახი თბილისში ჯერ კაცს არ უნახავს. სინამდვილეში, ვიდრე მომხმარებელი კანფეტის მოხმარას შეუდგებოდეს, იძულებულია ხელი მოკიდოს დანას და ეს ტკბილი ნობათი ვაშლივით გაფცქვანს. ვაშლი წელიწადის თითქმის ყოველი დროის სტუმარია და ამიტომ კანფეტი «თოვლი», მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ნახევრად მოსახმარილა რჩება, ნახევრადაც ვერ აღწევს მიზანს და მომხმარებელს ახსენებს არა ზამთარს, არამედ საკუთარ ჯიბეს.

ჩვენი მეგობრული რჩევა იქნება, რომ ხსენებული საშაქარლამო კომბინატის ხელმძღვანელებმა, ზამთრის სრული შთაბეჭდილების უთუოდ მოსახდენად, ეს კანფეტი შელებონ ნამდვილი ტალახით და ზედ «თოვლის» მაგიერ დააწერონ «წუნი».

მეზაქარლამი

ძაო ნიანგო!

შენი იმედი, ღმერთს ვევედრებით, არასოდეს არ მოგვეშალოს, ზევს ეხმარები, ზევს შევლი, ზევს აიხედება და, მოდი, გაისარჯე, ჩვენთვისაც იქეცი გაჭირვების ტალკვსად.

თბილისის პირველი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირდაპირ ვცხოვრობთ და არც დღეა მოსვენება ჩვენთვის და არც ღამე.

სალამოს ათი საათიდან ღამის პირველ საათამდე და დილის 5 საათიდან იმავე დილის 7 საათამდე გარაჟის ერთციცქნა ჭიშკართან ავტობუსების იმ სიგრძე ორ სამმწკრივიანი რიგი დგას, რომ ქუჩაში მოძრაობა წყდება და ავტოსატრანსპორტო კანტორის შნოსა და მარიუხათს ასობით წყვილი თვალი და წყვილი ნათურა მისჩერებია.


ისეთი მოხერხებული დრო მოუნახავთ, როცა ავტოინსპექციას სალათას ძილით ძინავს და ისმენენ და გვასმენინებენ საყვირების სიმფონიას... ავტომანქანებს, ქალაქში აკრძალული რომ აქვთ ყვირილი, აქ, ჩვენს ცხვირ-წინ აოხებინებენ გულს, დაუსრულებელიყ აყვირებენ და აყვირებენ ხმის ჩახლეჩამდე.

საყვარელო ნიანგო, უთუოდ მოგეხსენება, რომ თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია და ავტომანქანებზედაც მრავალი ეროვნების მძღოლი მუშაობს. ისინი ავტომანქანების საყვირების გაბმულ «ბაასში» ერთი მეორეს ეჯიბრებიან სამსართულიანი გინებების ხმამაღლა დაყვირებაში. ვინ ვის ჯობნის, ჯერ არ არის გამოაშკარავებული, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჩვენი ყურთასმენა წვედა სამუდამოდ.

ამას ისიც ერთვის თან, რომ რადიო—ხმამადილი მთელ ხმაზე გვასმენინებს ყველა ჯურის რადიოგადაცემას. ჩვენი რადიომიმღებები დავადუმეთ, ჩვენც დღემდე ვდუმდით და ვდუმდით, მაგრამ ახლა უკვე აღარ გვინდა მუქით სიმფონიების მოსმენა.

შენი ჭირიმი, მიხედე! სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორას, ურჩიე, კიდევ ერთი ორი კარი გაუკეთოს გარაჟს, რომ ავტომანქანები სწრაფად შერეკოს შიგნით და ქუჩა არ ჩაიკეტოს. იქნება გვიშველო რამე, რომ ყოველდღე არ ვისმენდეთ მძღოლების მრავალსართულიან «ლოცვა-კურთხევას» და ყურის ბარბანს არ გვიხეთქავდეს მანქანების საყვირებისა და რადიოეროდუქტორის გაუთავებელი ღრიალი.

პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორის უბანელები



სამხაშვარო გალერეაში

ნახ. დონისა



— თუ ძმა ხარ, რას ამბობენ ჩემი ნამუშევრების შესახებ?
— ყველას ძალიან მოსწონს, რა დიდებული ტილოაო, ნეტავ ხად იშოვა, მეტრი, ალბათ, ძვირი ღირსო.

ნოვოუნი

- გამყიდველმა წაიტრაბახა — საჩვენებელი თითის წყალობით თითით საჩვენებელი ოჯახი მოვაწყეო.
- კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეეკითხა ბუღალტერს—როგორაა ჩემი დღეების საქმე და—დათვლილიაო.
- მეღვინეს კითხეს—როგორი ღვინო გაქვს და—არაჩვეულებრივიო.
- კომპოზიტორმა სხვისა თავისაში არია და გამოვიდა არია.
- მდივანმა ქალმა დაურეკა უფროსს—დღეს სამსახურში ვერ მოვდივარ, და—ნეტამც შემოგველოო.

3. ჯავარიშვილი

ამრავი მაგალითი არსებობს კაცობრიობის ისტორიაში იმისა, თუ როგორ დაანგრია თევზმა ადამიანის ოჯახი. მაგალითად: „ზღვა და მოხუცობა“ — თქვენ იცით, რა ტანჯვა გადაიტანა სანოტარო.

ლუარსაბ თათქარიძეც თევზმა მოკლა. აგრეთვე თევზმა მოწამლა დიდი კინალამ გამომტაცა ხელიდან სიცოცხლით სავსე მეზობელს. ასე, რომ თევზი ისტორიულად არცთუ ისე დიდი რეპუტაციით სარგებლობს, მაგრამ არც ასეა საქმე. თევზს თავისებური მიღგომა უნდა და, თუ ალბერს აუღებ, თქვენს დაგინგრევს კი არა, მიიძღობა. — რა სართულიანი და თორმეტოთახიანი სახლიც აგიშენოს. ეგრე არ არის, აშოტ გეურქის-ძე გეგორქოვს ექვი, ჰო, ნუ გრცხვენია.

— მე რის უნდა მრცხვენოდეს, სირცხვილი იმას, ვისაც თევზი არ უყვარს. რაც რომ მარჯვენა ნაპირის „თბილკვებავტობის“ № 149 მაღაზიის თევზის სექციის პასუხისმგებელ გამყიდველად დამნიშნეს, ჩემი საქმე წაიშალა.

— მაინც როგორ? — როგორ? ეგ თუ გეჩხარა, მაშინ რაღა კომბინატორი ვიქნები. იმას კი გეტყვი, იმოდენა ფულის პატრონი გავხდი, სახლის ყიდვა გადავწყვიტე. ვნახე მაკლერები, მაკლერებმა — ანაკლიის ქუჩა, ანაკლიის ქუჩაზე № 8 ორსართულიანი 14-ოთახიანი გრ. ტერ-აბრამოვის სახლი 270 კვ მეტრი ფართობით და მომასხენეს.

— შენ ალბათ უარი თქვი, რადგან ამხელა სახლი ნახევარი მილიონი მაინც ეღირებოდა.

ამ სიტყვებზე აშოტმა გულიანად გადაიხარხარა, მერე დარცხვენილს მხარზე ხელი მომითათუნა და განაგრძო:

— როგორ გეტყობა, რომ ჰარიფი ხარ, ჯერ ერთი ნახევარი მილიონი რა ფულია, მერეც მეორე ცნობა მაქვს ქალაქის საბჭოს აღმასკომის ტექნარიცხვის ბიუროდან, რომ ეგ სახლი სულ რაღაც 45.274* მანეთი ღირს, ოქტომბრის რაიონის საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაშიც ზუსტად ეგეთი ცნობა ავიღე.

— აშენებულხარ და ეგ არის!

— მე კი აფშენდი, მაგრამ არც ტერ-აბრამოვი გადაშენებულა, კარგა ბლომად ფული წაიღო.

— აკი 45.274 მანეთი მივეციო?

— შენ ვინ ყოფილხარ, ძმაო, 45.274 მანეთი ცნობაში წერია, ისე კი...

— ააა!

— ოოო, მა შენ როგორ გეგონა!

— მერე, მერე?

— მერე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულება 50.000 მანეთისა და სანო-

ტარო კანტორას მივადექი. იქ მითხრეს, ერთ კაცს ასეთი დიდი მოცულობის ბინის ყიდვის უფლება არა აქვს. ფართობი 95 კვ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს და ხუთ ოთახზე მეტი არ უნდა იყოსო.

— დაღუპულხარ კაცი და ეგ არის. — აშოტმა ისევ გულიანად გადაიხარხარა, ისევ მხარზე ხელი დარცხვენილს და ისევ განაგრძო.

— ჰარიფი კაცის არაფერი არ გაიშვა. რა დამლუპავდა? ავიღე და ნასყიდობაში სხვა ხალხიც ავიყვანე.

— რა გინდოდა უცხო ბინაო?

— უცხო რას ქვია!

— გამიჯავრდა აშოტი. — უცხო კი არა, ჩემი ჯილაგი სისხლი და ხორცი, ჩემი ცოლი რიმა გეგორქოვი და შვილი ზორიკ გეგორქოვი შევიზიარე და ისევ სანოტარო კანტორას მივადექი!

— მერე და გაგიფორმეს ასეთი ნასყიდობის ქალაქი სანოტარო კანტორაში?

— რას ამბობ, ეგ სანოტარო კანტორა კი არა, სანეტარო კანტორა ყოფილა, იმოდენა ბეჭედი დაარტყეს, კინალამ მაგიდა დაამტვრიეს. — ეგეც ეგრე, — ვთქვი მე, ნასყიდობის ქალაქი ჯიბეში ჩავიდე, მერე ტერ-აბრამოვსაც ფული ჯიბეში ჩავუდე, რამდენი, ეგ უკვე ჩემი საქმეა და აჰა ანაკ-



აშოტას თევზა თქვა

თევზმა თქვა: — სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ, რა ვქნა, პირი წყლითა მაქვს სავსო.

— თუ პირი წყლითა გძონდა სავსე, ეგ როგორღა თქვით, უპასუხა კუპაცმა.

ხალხური

ლიის ქუჩაზე № 8-ში რომ ორსართულიანი და 14-ოთახიანი სახლია, ჩემია, ჩემი! ახლა მდგმურებსაც გავასახლებ და მთელი სახლი ჩემი იქნება, შენ კი იძახე თევზი ადამიანის მტერიაო. მაშ ამ სახლის ფოტოს შეხედე და თქვი, ეგეთ სახლს მტერი ამიშენებდა? არაფერი შეგეშალოს, ახლა რაღას იტყვი?

მე რა უნდა მეთქვა? იქნებ ვინმემ გაბედოს და უთხრას რამე აშოტ გეურქის-ძე გეგორქოვს, ან ნეტარხსენებულ სანოტარო კანტორის მუშაკებს ჰკადროს რამე.

საუბარი ჩაწერა **გ.სალაქიშ**

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ნაცნობი სახე გაქვთ, ხალაქ მინახავხართ?!

— ბატონო, პირველი მე არ მოგართვით დილას!



* რადგან აშოტ გეურქის-ძე გეგორქოვის აღებ-მიცემობა 1961 წლამდე მოხდა, თანხის რაოდენობა ყველგან ძველი ფულითაა ნაჩვენები.

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აკრძალა ქუჩებში საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობა. მაგრამ ქალაქში კვლავ დადიან ორთავა და ოთხთავა საბარგულები, რომლებიც საქალაქო საბჭოს სხვადასხვა უწყევას ეკუთვნის.



— ეს ცხენები რომ თავისუფლად დასეირნობენ რატომ ზომებს არ ღებულობთ?
— ეგ ქალაქის საბჭოს ტრანსპორტია და ხმას ვინ გასცემს!



— კაცო, ეს რა ძველი საუზმეა!
— ავტომატი ძველ ფულზეც მუშაობს!

უნაკლო ადამიანი, სამწუხაროდ, ჯერ არ დაბადებულა და ჩემს საყვარელ მეზობლებსაც აქვთ ნაკლი: სულ აიგანზე არიან გადმოძვარნი და ხელებში შესცქეოიან ერთმანეთს, რათა, დაწვრილებით გაიგონ, ვინ რა მოიტანა, როგორ მოიტანა, საიდან მოიტანა?

ერთის სიტყვით, შურის ჭია რომ არ ღრღნიდეთ, მათ ვერაფერს შეედრებოდა მეზობლობასა და კაიკაცობაში.

კარგები არიან და რა ჯობია კარგ მეზობლებს!

მე თავყვანს ვცემ კარგ მეზობლებს. კარგი მეზობელი ღვიძლ ძმას ჯობია. კარგი მეზობელი სულის მალამოა. კარგი მეზობელი ყველაფერია. კარგი ადამიანია ჩემი ცოლი. კარგი ადამიანი ვარ მე. ჩვენ გვიყვარს ჩვენი მეზობლები და გაუმარჯოს ჩვენს მეზობლებს. ამ სიყვარულმა მოგვაწვევინა ერთი რიგგარეშე თათბირი.

თათბირმა გულცხელ ვითარებაში ჩაიარა და გადაწყდა, ახალშეძენილი ავეჯი ისე მოგვეტანა ოჯახში, რომ წინასწარ არ გამხდარიყო მეზობლებს შორის მითქმა-მოთქმისა და განხილვის საგანი.

შუალაშე... მოქურუშებულ ციდან კოკისპირულად ცვივა ცის ნატეხები.

ჩემი სახლი ბნელშია გახვეული. მისკენ ოთხი კაცი მოიპარება. სამსტვირთი აქვს აკიდებული. მეოთხე მე ვარ. გზას ვუჩვენებ.

ფეხაკრეფით მოვდივართ ოთხივენი. ისე ხმადაბლა ვსუნთქავთ, რომ გვეშინია, სული არ გაგვებაროს.

ტატიტ ვუახლოვდებით სადარბაზო შესასვლელს.

ვუახლოვდებით და... მილიციელის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ჩვენი მოძრაობა, თავისი თანამოძმეთაივის უჩვეულო სიმამაცე გამოიჩინა და გაბედულად იყვირა:—სდექ, სდექ, სდექ!—იყვირა და თვითონაც ფეხდაფეხ მოჰყვა თავის ხმას.

მოჰყვა და თავზე დაგვადგა. თავზე დაგვადგა და ტვირთი გაუვარდა ერთ-ერთს.

ტვირთმა სადარბაზო შესასვლელთან მოადინა ბრაგვანი. ხუთივე სართულზე ერთბაშად აინთო ნათურები.

ჩემი საყვარელი მეზობლები დაბარებულიებით გამოეფინენ აივნებზე—ღამის პერანგის ამარა.

ათობით წყვილი თვალი ციმციმით შემოგვაცქერდა.

— ო, ღმერთო ჩემო, — აღმომახდა მე. გული წამივიდა და ჩემი ავეჯის გვერდით მოვადინე ზღართან.

მალლა სართულზე ორ მეზობელსაც წაუვიდა გული ჩემი ნივთების დანახვით.



გულშემზარავად კიოდა ჩემი ცოლი კანტიუნტად მესმოდა ნეტარსახსნელი მეზობლების ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბაასი:

— ნატურდალი რომ არ იყოს, შუალამისას რატომ მოაქვს?
— ამ თავსხმაში რა უნდა?
— ამ ბანდიტებთან რა უნდა?
— რა უნდა... რა უნდა... რა უნდა...
— ჩემი ავეჯია, — წამოვიღულულულე კიდეც უფრო წამივიდა გული...
— ის კაი კასი ღარ. ქურდი არ ღარ — დამეხმარა მეეზოვე მამედა.
ჩემმა ცოლმა მგონი საბუთი ჩამოიბენინა...

მერე, როგორც მორევში, მეზობლები ყაყანში შთაინთქა ყველაფერი — ჩემი ავეჯიც, ჩემი ცოლ-შვილიც და ჩემი მეგობრებიც.

არაფერი მახსოვს მეტი. ასეა, ასე. დონ-კიხოტოზის დრო დიდი ხანია წავიდა.

მეზობლების გულს ვუფრთხილდები: ჩემს ავეჯს ერთბაშად რომ დარბახვენ, გული არ გაუსკდეთ-მეთქი და ნალამ მე გამისკდა გული...


არამკითხე მოამბესავით მოვექეცე ჩემ გულს...

— მშვიდობით, ცოლ-შვილო, მშვიდობით, ავეჯო...

ის-ის იყო თვითონ ქვეყნიერებასა უნდა დავმშვიდობებოდი, რომ გამოვერკვიე: გულზე წყლის წვეთი დამეცა...

ეს არ იყო წვიმა.
ეს არ იყო წვიმა.
ეს არ იყო წყალი.
ეს გულაჩვილებული მამედას ცრემლად გახლდათ.





— ბოდიში, მგონი ვერ მიცანი, ბატონო დირექტორ?
— ვინ ხარ, კაცო, შენ?

ბათუმელი სვამი

(იგავი)

სვამმა გაიგო სირაქლემის გამოვა წიგნი, გამოცემლობას ადრინადა ეწვია იგი:
— მე რა ხანია სირაქლემის მიხედვით თარგმნა, გთხოვთ, მე მომანდოთ და პოემებს გითარგმნით კარგად. ოღონდ წინასწარ პონორარი მომეცით ნადავლად...
ხელშეკრულება დაიდო და ფულიც წინ დახვდა.

სვამმა შეიტყო ამზადებენ კენგურუს წიგნებს, გამოცემლობის დირექტორთან გაამხელს ფიქრებს:
— კენგურუს პროზა ბავშვობიდან მხიბლავს და მიყვარს, მე გადმოვთარგმნი, ჩემზე უკეთ ვინა ფლობს სიტყვას...
სხვაც ბევრი ითქვა, მისი აუა ყველამ გაიგო, სვამმა მთლიანად პონორარი ხელში ჩაიგდო.

დაირხა სიტყვა, ითარგმნება მალე მარტორტა, სვამი ბირდაპირ დირექტორთან გაჩნდა მარტორტა:
— მაგ ავტორს ვიცნობ, ძველთაძეგლი მეგობარია და, რა თქმა უნდა, მისი თარგმნა ჩემი ვალდებულებაა...
ასე იყო, თუ ისე იყო, გადაწყდა მტკიცედ, სათარგმნოც მისცეს, პონორარი უკლებლივ მისცეს.

ეს ყველაფერი სულ ადვილად ხუთ დღეში მოხდა, ლოდინში უცებ ხუთი წელიც გაცურდა კონტად. მუდარის შემდეგ, როგორც იყო, ცოტა რამ თარგმნა და წარადგინა, თუმც თარგმნილი არ იყო კარგად.
— თქვენ, რა შეგეძლოთ, პონორარი მომეცით წესით, მეც რაც შეგეძლია, პა, ინებეთ, პროზაც და ლექსიც.

ამით დასთავრდა დაწყებული ამბავი ესე, რა ქნან, ხომ ველარ დაარღვევენ მეორედ წესებს?

3. გორბანელი

0:1

ბათუმელი
სვამი

სახანძრო რაზმის სამორიგო განყოფილებაში ტელეფონი ნერვიულად აწკრიალდა.

— ალო! გისმენთ სახანძრო რაზმის სანიმუშო მომსახურების გარდამავალდროშოვანი განყოფილებაში მორიგის თანაშემწე უფროსი ზემდეგი...

— მოკლე შინაარსი მოყვები, შე უპატრონო, თორემ დამეწვა სახლი!..

— ცოტა ზრდილობიანად, ამხანაგო, რაშია საქმე, ხანძარია?

— როგორ მიხვდი, ა?

— აბა, რას ვაკეთებ აქ?

— ჰო... ხანძარია, ხანძარი!

— მე რა ვაკეთებ, ჩემად ვერ იტყვი? სად ცხოვრობ?

— ახლა აღარსად, ერთ ადგილას ვცხოვრობდი, ისიც მეწვება...

— რა გეხუმრება, შე უბედურო! მისამართი?

— შენთვის ქუჩა.

— ნომერი? ასე გაზით უნდა გაძრო ყოველი სიტყვა?

— 13.

— რა გვარი ხარ?

— მესხი.

— ოუ, მიზა მესხი რა არის შენი?

— როგორ თუ რა არის, რა და, ალალი ბიძაშვილია, აბა!

— გენაცვალე სულში, არა, ახლა ისე როგორ ფორმავია, ა?

— მხეცივით. ამ სეზონში დახვეს ყველაფერს. მაგის დამგერი კაცი არ დაბადებულა ჯერ!

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, შენ ძმო! ხშირად ნახულობ ხოლმე?

— ხშირად კი არა, სულ ერთად ვართ! ეგ რაა კიდევ, ჩემი ცოლის ქალიშვილობის გვარი კოტრიკაძეა, სერგოიას გარე ბიძაშვილია...

— ავაშენა ღმერთმა, აბა, თუ ძმა ხარ, ერთი აბონემენტი როგორმე გამიშანსე და ბატივისცემა ჩემზე იყოს, შენთვის ეს საქმე არ იქნება ძნელი...

— მაგას რა უნდა, შე კაცო, გამომიარე სახლში, მისამართი ხომ გიწერია...

— სახლში? აუპ, მოვექრითო ახლავე... ტრეგოვა!

— ამხანაგო, ამხანაგო, ალო, ცეცხლაძე!

— რა იყო კიდევ?

— კაცო, ჯერ მიშეგლე, სახლკარი მეწვის და ფეხბურთზე მერე ვილაპარაკოთ.

ზ. გიმაზაშვილი



ნან. ნ. მაღალაშვილი

— დედიკო, ეს პარკი მარტო იმ კაცისაა, ასე რომ ყვირის?

— მაშინ გენაცვალოს, მაშინ! ასე უნდა, ბიჭო, დავიწყება? (ორმოცდახუთი წლის შევსრული და მამიდა ისევ ბიჭს მეძახის). — ჩემი გაზრდილი მაინც არ იყო! ძლივს მოვესწარი შენი ცოლის შერთვას და აღარ გინდა ნახვას მომასწრო?

ამ სიტყვებთან ერთად, ჯერ მე გადამეხვია მამიდა, შემდეგ ჩემი მეორე ნახევარი შეთვალეირა შემფასებლის თვლით და რამდენჯერმე გადაკოცნა.

— მოდი, ბიჭო, გაიცანი ჩვენი ნათესავები. შენ ისე დაიკარგე, რომ ახლა, ალბათ, აღარავინ გახსოვს ახლობლებიდან. დიდხანს დავდიოდი სახლში, ეზოში და მამიდაჩემის მეთაურობით საგანგებოდ შეკრებილი ნათესავების პარადს ვლემულობდი. ვინ მოთვლის, რამდენი უახლოესი, ახლობელი და შორეული ნათესავი გავიცანი ერთი საათის განმავლობაში. დავიდალე ერთსა და იგივე კიბხავზე — როგორ ბრძანდებოდა, — მასუხის გაცემითა და ხელის ჩამორთმევით. მე კიდეც არაფერი, მაგრამ ჩემი ცოლი იმდენი კოცნეს ქალღმერთმა, რომ სახე მთლად დაუჭრელეს ათასი ფერის პარალელური ხაზებით.

მამიდაჩემმა ჩემთვის მოაწყო ეს კამბანია და უნდა ისე ჩატარდეს, მთელს რაიონს ჰქონდეს სალაპარაკოდ. სტუმრად იმდენი თამაშგრიჭილი ქალიშვილი და გრძელთმიანი ვაჟია მოსული, რომ თავი რუსთაველის პროსპექტზე მგონია.

დრო გადის. უკვე 11 საათია. მასპინძელს უნდა მთელი დამე გაეთნოთ და არ ჩაბროსს ვახშმის დაწყებას. ეზოში ნარდის და ბანქოს თამაშია გახსრებული. ირგვლივ შემწვარ-მოხრაკულის სასაჩივრო სუნა ტრიალებს და საშინლად აღიზიანებს ადამიანის მადას. მე ვერ გავუძელი ასეთ ცდუნებას. საშხარეოლოში შევიარე, ქალებს ნახელადი შევუქე და გასინჯვის საბაბით ერთი ხაჭაპური შემოიჭამა ხელში. ჭაშნიკისათვის ცოტა ღვინო დავაყოლე.

თორმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც გარეთ დიდი ოვაციით შევხვდნენ ვიღაცას.

— მოვიდა, მოვიდა! ათიანი მოვიდა, ათიანი! — ეზოში ახმაიკი კაცი შემოვიდა და თან ორი ახალგაზრდა შემოჰყვა. მალე ამისხნეს, რომ ეს მაღალი კაცი ნაბილქონ ზეგრიპაშვილია და მას მეტ-სახელად «ათიანს» ეძახიან, რადგან კამბანიაში, სადაც ის შეიკვლილი თამადაა, ათ ლიტრა ღვინოს სვამს. მისი ამფოსონები კუჭშია და ბუჭშია განუყრელად მასთან არიან თურმე ქელებზეა და ქორწილში.

ნაპოლეონი განთქმული თამადა ყოფილა რაიონში და, როგორც ამ დარგის შეუცვლელ მემკვიდრეს, ყველგან პატივით, განსაკუთრებით იმისათვის, რომ კისერი მოსტეგოს სტუმრებს და სამუდამოდ დაამახსოვროს მასპინძლის «პატივისცემა». არავის გაკვირვებია, როდესაც ნაპოლეონმა მითითების გარეშე დაიკავა მაგიდის თავში თამადისათვის განკუთვნილი ადგილი. სხვა სტუმრებიც შემოვუსხდით სუფრას ახლა უკვე ერთმანეთში აირია ქალიშვილების თამბის ლურჯი, ყვითელი, მწვანე, წითელი და სხვა ათასი ფერი.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთი ახალგაზრდის სპორტულმა გარეგნობამ. მან მარჯვენა ხელის თითები ნახევრად მოხარა, შემდეგ დიდხანს ჭიქა აიღო, ცალ მხარეზე სოლიდით პურის ნატეხი გაუქეთა და ასე უჩვენა, ახლა უკვე არჩეულა და თამადის უფლებებში შესულ ნაპოლეონს. ამ საბალეტო ნომრის შინაარსი ასე ამისხნეს თამადას უთხრეს, ჩვენი ხელი იმდენად შეეჩვია ჩაის ჭიქებს, რომ თითები მხოლოდ მის ზომაზე იხრება და პატარა ჭიქის ხელში ვერ დავიჭერთ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ თამადის პირველი ბრძანება ღვინის ჭიქების გადაყენებას შეეხო.

— რა არის ეს? ღვინის ჭიქებით ბაზუაჩემიც ქე სვამდა ღვინოს.

— ამ ძვირფას ოჯახში იმიტომ ვართ მოსული, რომ პატივი გვეთ მას და დიდი სურვილები დიდი სასმისებით გამოვხატოთ.

— იცოდეთ, ღვინო სასტიკი სმა იქნება, წვეთს არავის შევარჩენთ, წვეთს. — ასეთი «ტიტბილი» სიტყვებით გაგვაფრთხილა თამადა. პატარა ჭიქები სასწრაფოდ წაიღეს და მის მაგივრად ჩაის ჭიქები ჩამოგვირიგეს სათითაოდ.

— ბატონო, მე მაღალი წნევა მაქვს და, ღვინო რომ დავლიო, ღვინვე გაგვიმაფე ფეხებს! — განაცხადა შუაზნის კაცი.

— თუ ძმა ხარ, ნუ დამაძლებ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას, ნუ დამაძლებ ღვინოს, არ შემიძლია და რა გქნა! გული მღალატობს, ძლივს ფეხქვეს კიდევ.

— მე აქ საავადმყოფო კი არა მაქვს. რისთვის მობრძანდებოდით, თუ დალევა არ შეგეძლოთ! აბა, კუჭშია და ბუჭშია, თქვენ ჩემი მოადგილეები იქნებით, კისერში ჩაასხით, ვინც არ დალიოს. — ასე «გვანუგეშა» ნაპოლეონმა.

ვატყობდი ცუდად იყო საქმე. ფრონტზე გადაგურჩი სიკვდილს და ახლა აქ მიპირებდნენ ღვინით დახრჩობას. მეორე მხრიდან ჩემი მიშველიდა და გლხნად დახატული ხატებით მისკენ გადავატრიალე თვალები. მამიდა მიმიხვდა და შემდეგი სიტყვებით «მანუგეშა»:

— თავი არ მოშვარა, ბიჭო, სანამდე შეძლებ დალიე, თორემ ახლა ჩვენთან ისეთი წესია, წვეთს არავინ გაპატიებს, სანამ დასაკლავი ღორივით არ წაგაქცევენ.

თამადამ სადღეგრძელოები ქვეყნის გაჩენიდან, ადამ და ევას პირველი სიყვარულიდან დაიწყო. ალავერდს ჩემთან გადმოვიდა და წინასწარ ჩამიშალა სუფრიდან გაპარვის შედეგად გეგმა ისმებოდა და ისმებოდა ჩაის ჭიქები. მალე სუფრაზე ორი შემწვარი გოჭი შემოიტანეს და სამი კაცი გაიტანეს უგრძობ მღვდმარეობაში. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო და ისეთი ხმით აღრიალდა, რომ ეზოდან შეშინებულმა ძაღლებმა გაბმული ყეფით მისცეს ბანი.

ღვინო თავისი გაიტანა. სუფრაზე ისეთი ყაყანი ატყდა, რომ ყურთამენა აღარ იყო. თამადის მიერ წასარიგის აღსადგენად მიღებულ საგანგებო ზომებს ჩანგლის რახუნით სამი თევზი შეეწირა.

— აფრასიონს გაუმარჯოს, აფრასიონს! შენი ჭირიშე ვაქცავო, სიტყვა რომ შესრულე და მოხვედრი! — ასეთი შეძახილებით შეგვდნენ მაგიდაზე ადგილობრივი კლუბის გამგეს.

— ჩემი სული აქ იყო, ბატონო, მაგრამ რას ვიზამდი, ღვინო მთავარ როლს ვთამაშობდი პიესაში.

— შემოსწრებულს პატივი გვეთ, შემოსწრებულს — წამოიძახეს თამადის მოადგილეებმა და ამ სიტყვებთან ერთად აფრასიონს თერმომეტი ჩაის ჭიქა ჩაუწვრიგეს წინ.

— მაგ დალიე, ბიჭო, და დაწული იქნები ჩვენთან. — აფრასიონს თავი არ დაუზოგავს, ერთი მეორეს მიაყოლა ჩაის ჭიქები და, ცხრა რომ დალია, დაგვეწვია კი არა, გავგისწრო კიდევ ძლივს გაიტანეს მეორე ოთახში.

სუფრის გელიდან განუწყვეტლად გაჰყავთ ჩაის ჭიქებთან გამართული ბრძოლის დროს «გმირულად» დაცემული გაქცევები. ბევრს ღვინისაგან მიღებული «კონტუზიის» შედეგად დაკარგული აქვს მეტყველებისა და მოძრაობის უნარი. სუფრასთან დარჩენილი ამხანაგები უდიდესი ალტაცებით ხვდებიან თანამესუფრეთა უდროოდ დაკარგვასა და დამცინავი ხარხართ აცილებენ მათ. თამადას მოსწყინდა ჩაის ჭიქები და განსაკუთრებულ სასმისებს დაუწყო ძებნა. ჯერ სამურაბით დალია, შემდეგ ბროლის ვაშა ჩამოატარა, რომელსაც გამოუცდელმა მსმელმა ვერაფრით ვერ მოარგეს ტუჩები და სხვის პურ-მარილზე უფასოდ «დაასველეს» ახალი კონსტუმები.

განგებულად ასლან ბაბუასა და ირინე ბებიას სამარადისო ხსოვნის აღსანიშნავად თამადამ განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა. მასპინძელმა «მარანი» მოიტანა. რას ამ როგონებს ადამიანის გონება. ვიღაცას რამდენიმე პატარა ჭური ერთ-

მანეთთან შეუერთებია, დასალევად სატურჩარი დაუტანებია და ამ ახალი გამოგონებისათვის «მარანი». დაურქმევია. მარანი პატარა არ შეიძლება იყოსო, იფიქრეს, ალბათ, მისმა კონსტრუქტორებმა და კაი ბოთლნახევარი ღვინო ჩადის მათ ნახელაში. მინავო ბიძამ გლახა ჭრიაშვილივით გააჭიანურა სადღეგრძელო. ვიღაც მაღალმა ახალგაზრდამ, როგორც ჩანს, ველარ გაუძლო მის მჭევრმეტყველებას და წამოიყვირა: — მოკეტე, ბიძია, მოკეტე! — ამ სიტყვებმა გადარის მინავო.

— როგორ, მე პირუტყვი ვარ, უსიტყვოდ დავლიო! — ყვიროდა ის და ღვინით სავსე ბოთლს ატრიალებდა. სასწრაფოდ მიღებულმა ზომებმა სუფრა გადაარჩინა მოსალოდნელ ჩხუბს. მინავო, როგორც მშვიდობიანობის დამრღვევი, ბოთლიანად გაიტანეს გარეთ.





სუფრაზე საკმაოდ შეთხელდა სტუმრები, ბევრი უკვე აღარ იყო სათვალავში. ზოლო ვინც დარჩა, ველარ არჩედა მკვდარსა და ცოცხალს. ჩემი სადღეგრძელო ათი სხვადასხვა გვარითა და სახელით შესვეს. პროფესიის მიხედვით ზოგი მსახიობს მეძახდა, ზოგი ექიმს, ზოგი ინჟინერსა და ზოგი ვინ იცის რას.

მე ბოლომდე შევჩრჩი სუფრაზე. ალბათ, იმის წყალობით, რომ რამდენიმე ჩაის ჭიქა ისე ოსტატურად გავიცდიე, რომ კარგ ილუზიონისტსაც შეეხარებოდა ჩემი ხელის სიმარჯვე. დილის მოახლოება მაშინ გავიგე, როცა ერთმა გვერდელ შედგილმა ქალიშვილმა წამოიწყო: «გათენებულა, გამიწვი გამაჯივრებოდა ღვინო!» მართლაც გაათენდა. სუფრაზე და სუფრის მიმართულ აცეხარზეც წამოიწვი და თითქმის ყველას ცეცხლა. გაბრუნდით ყველა და მთელი გემ-მართეთ კარენსაყენ. მაგიდის თავი დარჩენილი კბილბედაკრებული გოგის თავი შეწინა, მოეჩვენა, თითქმის ის ირინეულა, ირინეულა და დაგვიცნოდა მძვრალეს. მაგრამ მისთვის ვისღა ეცნო? ის კი არა, მამიდაჩემი სამი დღე ეზო-ღვინოდა ამ სანატორი კამბანისათვის, არაფერი დაუზოგავს. მთლად გაწყვიტა ინდაურები და ჭათმები; მეზობელი ქალების დახმარებით ისეთი გემრიელი საშუალები მოამზადა, რომ კაცი ვერ გაძლებოდა მათი ჭამით. მაგრამ ყველაფერი ეს სუფრაზე დარჩა დახვავებული. ვისღა ახსოვდა დასახლისების შექება გემრიელი კერძების მომზადებისათვის. სტუმრები ისე წავიდნენ, არც მადლობა უთქვამთ და არც არავის დამშვიდობებია. (ან ვის ჰქონდა ამის თავი).

აივანზე გამოვედი, დაბლა გადავიხედე. ქუჩა სავსე იყო ხალხით. მუშები და მოსამსახურეები სამუშაოზე მიეშურებოდნენ. «მერცხლის ჭიქიკი»-ვით ისმოდა მოსწყვლეთა წვრილა ხმა. შრომის პატივით აღსავსე ამ შესანიშნავ ფონზე სასაცილოდ მოჩანდნენ წუხანდელი ქეფის «გმირები», რომლებიც ნაპოლეონის მეთაურობით ბარბაცითა და ღრილით მიდიოდნენ ქუჩაში.

ის კი მასსოვს, სახლში როგორ შემოგბრუნდი და შემდეგ ყველაფერი ნისლში ჩაინთქა. არ ვიცი, რომდენ ხანს მეძიხა, ან როდის მოვედი გონზე. დიდი ხანია ვიხსენებდი შეგულების დროს ყველა ნათესავი მენახა და ერთხელ და სამუდამოდ დამეხია წერტილი მათი გაუთავებელი საყვედურებისათვის. წუხანდელმა ქეიფმა მთლად ამირია გეგები და ხელი ამალეხინა ჩემს განზრახვაზე. ვერ გასწრა მამიდაჩემის ცრემლებმა და ხვეწნა-მუღარამ მე უკვე სახლში წასასვლელად გემზადებდა.

რა გქნა. მაპატიონ ჩემმა ნათესავებმა, თუ მანამდე ვერ ვესტუმრო, სანამდე მათ ყველაზე დიდ პატივისცემად ღვინით «დახრჩობა» მიაჩნიათ. განა სასიამოვნოა სახიფათო სტუმრობა?!



უბრალო ხუმრობა

ნან. გ. ფირცხალავაძე

პირიკუჩხი

კორესპონდენტმა კედლის გაზეთისათვის მოიტანა სტატია, რომელიც ასე იწყებოდა: «ჩვენი არტელის თავმჯდომარე ისეთი ბიუროკრატია...»

— წერილს ცოტა შესწორება სჭირდება, — უთხრეს რედკოლეგიაში.

შეასწორა:

«თავმჯდომარის მოადგილე ისეთი ბიუროკრატია...»

— კიდევ შეასწორეთ!

შეასწორა:

«სამაჰტროს გამგე ისეთი ბიუროკრატია...»

— ერთხელ კიდევ შეასწორეთ!

კორესპონდენტმა საბოლოოდ ასე შეასწორა:

«ჩვენი დამლაგებელი ისეთი ბიუროკრატია, რომ დღემდე არ გამოგავა ჩვენი არტელიდან ბიუროკრატია თავმჯდომარე, მოადგილე და სამაჰტროს გამგე».

ა. ბახილაძე

ჩვენს რაიონში ახალშეუღლებულებს ხშირად ასე დალოცავენ: ისეთივე სიტყვით მოგცეს ოქახში, როგორც აი კახელაანთ ჯანოს აქვს დამკვიდრებული.

თვითონ მე ქორწილში აღარ მეპატიებებიან, რადგან, რამდენჯერაც დამიძახეს, იმდენჯერვე წიგნის მეტი არაფერი მიმიტანია.

ოქახური სიტყვების გასაღები ჩემს ოქახში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, გასულ შემოდგომაზე ჩემი ბიჭის დაბადების დღესთან დაკავშირებით ნახევარი თვის ხელფასით ერთი ისეთი ბროლის თასი ვიყიდე, რომლის სახელში მიტანა მარჯვენა მხარის გადატყაფება დამიჯდა. იმ საღამოს გაშლილი მაგიდის შუაგულს ბროლის თასი ამშვენებდა და მეც სიამაყით შევყურებდი ოქახის ახალშეუღლებულ სიმშვენიერებს.

თამადამ, იმ ჩემი ცოდვით სავესემ, პირველი სადღეგრძელოსთანვე თვალი დაადგა და ათწუთიანი შექების შემდეგ ჩემი სადღეგრძელოს დაღევა იმ თასით მოიწადინა და შიგ ისე თავისუფლად მოაქცია ერთი ლიტრა ღვინო, რომ სატურნემდე კიდევ ორი ჩაის ჭიქის დამატება დასჭირდა, შემდეგ პირზე მიიღვა და ისეთი წრუბული აუტეხა, რომ სხვენში თავგვება აღიპოთით ატეხეს.

სიდედრისა და სიმამრის სადღეგრძელოზე თამადას გული აუჩუყდა, ჩინურ პერანგზე ჩამოღვრილ ღვინოს თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლები დამატა და თასი მოადგილისაკენ გადასროლა, მოადგილემ, რომელსაც თურმე თავის დღეში ფეხბურთი არ ეთამაშა, თავი დაღუნა და ჩვენმა ბროლის თასმა ჩემი სიდედრის ნეკ თითთან მოადინა ჭახანი.

— მოგიკვდა მომტანი, — ამოიწანვლა ჩემმა ცოლისდამ.

— გაი რატომ ჩემი სიძის თავი არ გატყდა მაგის მაგიერ, — შეიცხადა ცოლის დეიდამ.

— თუ ისროდით, ბარემ თავში მოგერტყათ ამ სიძე ოხერისთვის... — დაუსართა ჩემმა სიმამრმა.

სიდედრმა ჯერ გატეხილ თასს დახედა, ნამტვრევები გადააბრუნა-გადმოაბრუნა და რა დარწმუნდა, რომ მისი გამრთლება მხოლოდ მამაშეციერს შეეძლო, ფეხზე ხელი მოიკიდა და ისეთი კივილი გააბა, რომ, ჩვენს ქუჩას ვინ ჩივის, მეზობელი ქუჩიდანაც გადმოგვეშველა ხალხი.

ამ პატარა შემთხვევამ დიდი გავლენა იქონია ჩემს ცხოვრებაზე. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ოქახის წვერებს უტაქტო მოქმედებისათვის საყვედური გამოგვუცხადე და შემდეგი ღონისძიებები დავსახე:

1. სასტიკად ავკრძალე ბროლისა და სხვა ძვირფასი ჭურჭლეულის ოქახში შემოტანა.

2. ძვირფასი უნგრული საწოლების შეძენაზე ცოლს სასტიკი უარი განვეცხადე და ცეცხლში დავეწვი 1959 წლის პარიზის მოდების ქურნალი.

3. ჩემი ქალიშვილის თმა იმდენი ვწიე მალა, სანამდის ნორმალურ სიგრძემდის არ დავეყენე.

4. მეოთხე სათულისაგან სანაგვე ყუთში გადავყარე ხნითა და ხანით გამოტენილი ქაღალდის ტომრები.

5. ოქახის წვერებს სასტიკად ავუკრძალე პირველ ორ დღეს ჩვენი და უცხოური კინოსურათების ბილეთებისათვის რიგში დგომა და ტანსაცმლის გლეჯვა.

6. ჩემს სიდედრს ავუკრძალე ოქახში ისეთი გადამდები სიტყვების ხმარება, როგორაც არის „შუბა“, „მელიის ქურტი“, „გობელენი“, „ნოხი“ და სხვა.

7. განუსაზღვრელი ვადით ჩამოვართვი ჩემს მეუღლეს და ქალიშვილს კაბრონის ყველა ტიტველა ტანსაცმელი და ადამიანურად შეგმოსე.

შედეგი?! საუკეთესოზე საუკეთესო უზრალა ჯამ-ჭურჭლით გავსებულ ოქახში გატეხეს თუ არა ჩემი ძე ანდა ასული ჭიქას ან მათლაფას, ისეთი სიცილ-ხარხარი და ტაშისკრა ატყდება ხოლმე, რომ უკეთეს სანახაობას ვერსად ვერ ნახავს ადამიანი.

ოქახში ძვირფასი, უცხოური თუ აქაური გადასაფარებლები არ მიმიტანია და როდესაც ჩემი მეუღლე ჩვეულებრივ გადასაფარებელს სარეცხის ქვაბში უშვებს, არც საათზე იყურება და არც კიდევ ცვეთას ამოწმებს.

ასე დამყარდა ჩემს ოქახში სიტყვით და სიხარული, აღარც ერთმანეთს ვემდურებით, აღარც გატეხილ-გაფხაჭხილზე ვჯავრობთ და არც კიდევ ფულის განაწილებაზე გვაქვს უთანხმოება.

როგორც ჩვენა ვართ ტკბილად, ნეტავ ისე სუყველანი იყვნენ.

3. კახელიშვილი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე,

ბ. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ქურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ჩუხთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 2-76-69, ხაერთო განყოფილების — 2-10-49

ხელმოწ. დასაბ. 30/1-1961 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვკ. № 107, უფ. 02818. ტირ. 40000

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის ახალი საზღვრები, რომლის მიხედვითაც დასახლებული პუნქტები — დაბა ავჭალა და სოფლები ბაგები, ვაშლიჯვარა, ოქროყანა, დიღომი და სოღანლუდი ტერიტორიალურად შედიან ქალაქის საზღვრებში.

— გოგოებო, რომ იპრანჭებით, რას იპრანჭებით, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მართოდ იმელები ხართ ქალაქელები? ჩვენ, ვაშლიჯვარელებიც მოქალაქეები ვართ, განა!

ნახ. ჯ. დოდუასი

მეცნიერული
გზამკვლევი

